ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№ 168

ქალაქი ქუთაისი 24 აპრილი 2019 წელი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური
განვითარების 2019-2020 წლების გეგმის („LEDP") მოწონების
შ ე ს ა ხ ე ბ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" მე-16 მუხლის მე-3 პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე" ქვეპუნქტის „ე.გ" ქვეპუნქტის შესაბამისად:

მუხლი 1. მოწონებულ იქნეს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019-2020 წლების გეგმა.

(ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი
ეკონომიკური განვითარების 2019-2020 წლების გეგმა
განკარგულების დედანს თან ერთვის)

მუხლი 2. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების 2019-2020 წლების გეგმა შემუშავებულია ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ფარგლებში.

მუხლი 3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს, კანონით დადგენილი წესით, ქალაქ ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (ვ.კუპრაძის ქუჩა N 11), მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

მუხლი 4. განკარგულება ძალაში შევიდეს კანონით დადგენილი წესით.

საკრებულოს თავმჯდომარე ნიკოლოზ ლატარია

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი
საქართველო

„ძველი ქალაქი ახალი შესაძლებლობებით“

2018 წელი

წინამდებარე გეგმა მომზადებულია ევროკავშირის ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ტექნიკური მხარდაჭერით. დოკუმენტი განხილული იქნა მსოფლიო ბანკის თანამშრომლების მიერ და აღიარებულია ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ პრინციპების შესაბამის დოკუმენტად. მთელი პასუხისმგებლობა გეგმის შინაარსობრივ მხარეზე ეკისრება ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიას.

მერის მიმართვა

ქუთაისი განსაკუთრებული ქალაქია მისი ხანდაზმულობითა და ისტორიით, აწმყოთი და პერსპექტიული მომავლით, ადამიანური და შრომითი რესურსის პოტენციალით, რითაც მნიშვნელოვანი წვლილის შემტანია ქვეყნის აღმშენებლობაში.

ქუთაისი დასავლეთ საქართველოს ადმინისტრაციული ცენტრია. მას აქვს პოტენციალი გახდეს რეგიონის ვაჭრობის, ლოჯისტიკის, ტურიზმის, ინოვაციების და განათლების ცენტრი. ეს ბევრს ავალებს, როგორც თითოეულ ქუთაისელს და ადგილობრივ ბიზნესს, ასევე სახელისუფლებო რგოლებს, რათა კერძო-საჯარო პარტნიორობით დაინერგოს და განხორციელდეს ქალაქის განვითარებაზე ორიენტირებული, ეფექტური და ინოვაციური პროექტები.

ევროკავშირის ინიციატივის „მერები ეკონომიკური ზრდისთვის" ფარგლებში 2019-2020 წლებისათვის შემუშავებული ქუთაისის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა კერძო სექტორის საჭიროებებზე, თვითმმართველობის შესაძლებლობებსა და მათ საერთო მიზნებზე შექმნილი საშუალოვადიანი დოკუმენტია.

გეგმის განხორციელება ხელს შეუწყობს შიდა და გარე პოზიციებზე ქალაქის ცნობადობის ზრდას, იმერეთის რეგიონის პოტენციალის გამოყენებით ქუთაისის საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას, ბიზნეს საჭიროებისათვის საჯარო ინფრასტრუქტურის განვითარებას, რაც ბიძგს მისცემს ახალი სამუშაო ადგილების შექმნას და ეკონომიკის თანმიმდევრულ განვითარებას.

ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობა ქალაქში სამუშაო ადგილების შექმნის ძირითად შესაძლებლობად მცირე და საშუალო ბიზნესს მიიჩნევს, შესაბამისად მათი სტიმულირებისათვის იღებს ვალდებულებას როგორც ადგილობრივ ბიუჯეტში მობილიზებული ასიგნებების, ასევე კერძო სექტორის თანამონაწილეობის ფარგლებში განხორციელებული იქნეს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმით დასახული ღონისძიებები. კერძო-საჯარო სექტორის მაქსიმალური ჩართულობა და კომპეტენციათა გაერთიანება ხელს შეუწყობს ქუთაისში ინკლუზიური ეკონომიკის ზრდას.

გიორგი ჭიღვარია

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

დოკუმენტი საჯარო და ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებულ პირთათვის.
გეგმის ასლის მისაღებად მიმართეთ:
სახელი, გვარი: გიორგი გიორგობიანი
თანამდებობა: ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის
ეკონომიკური განვითარების, ადგილობრივი თვითმმართველობის
ქონებისა და ტრანსპორტის მართვის სამსახურის ხელმძღვანელი
მისამართი: ქ. ქუთაისი, რუსთაველის გამზირი N3
ტელეფონი: (+995) 551583158
ელ-ფოსტა: giorgobianigiorgi@yahoo.de
ვებ-გვერდი: www.kutaisi.gov.ge

1. მოკლე მიმოხილვა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა შემუშავებულია ევროკავშირის ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ფარგლებში. იგი მიმართულია ქალაქში სამეწარმეო აქტივობის სტიმულირების, ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული ადამიანური უნარების განვითარების და ქალაქის ცნობადობის გაზრდის ხელშეწყობისაკენ.

ქუთაისი წარმოადგენს იმერეთის რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრს და დედაქალაქის შემდეგ, სიდიდით მეორე ქალაქია. ქუთაისს გააჩნია სტრატეგიული მდებარეობა. იგი მარტივად უკავშირდება საქართველოს დანარჩენ ქალაქებს და ქვეყნის მთავარ სატრანსპორტო კვანძებს. დღესდღეობით, ქუთაისი არის დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ცენტრი. მოქმედი ბიზნეს სუბიექტების ძირითადი ხვედრითი წილი (74%) მოდის ვაჭრობა-მომსახურების სფეროზე. ქალაქში არსებობს ორი თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, რომელშიც ქუთაისის მოსახლეობაა დასაქმებული. ქუთაისის ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ სფეროს ტურიზმი წარმოადგენს. ტურიზმის ინდუსტრიის სწრაფ განვითარებას მნიშვნელოვანწილად ხელს უწყობს ქალაქთან 18კმ-ში მდებარე ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტი.

პოზიტიური პირობების მიუხედავად, ქუთაისი დღესაც ცდილობს გაუმკლავდეს ისეთ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს, როგორიცაა უმუშევრობის მაღალი მაჩვენებელი, ქალაქიდან მიგრაცია, სამეწარმეო უნარებისა და გამოცდილების ნაკლებობა, არასაკმარისად განვითარებული საჯარო ინფრასტრუქტურა და საინვესტიციო გარემო. შესაბამისად, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა ეხმაურება ზემო ხსენებულ გამოწვევებს და გეგმის მთავარ მიზანს წარმოადგენს საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება, ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული ადამიანური შესაძლებლობების ზრდა და ქალაქის ცნობადობის ამაღლება. მოცემული მიზნების განსახორციელებლად ადგილობრივი თვითმმართველობის შესაძლებლობების გათვალისწინებით დაგეგმილია შემდეგი ღონისძიებები: დესტინაციის მართვის ორგანიზაციის შექმნა, ინტერ-მუნიციპალური პროექტი ახალი ტურისტული ლოკაცია და საერთაშორისო ბიზნეს ფორუმის მომზადება, რომელიც ხელს შეუწყობს ქალაქის ცნობადობის ზრდას; ქუთაისის საინვეტიციო პორტფოლიოს შექმნა, ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა-ბაზრობების ორგანიზება, სარეკლამო/საინფორმაციო ბილბორდების მოწყობა და ბიზნეს სექტორში ელექტრომობილების გამოყენების სტიმულირება, რომელიც გააუმჯობესებს საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს; ასევე გეგმა მოიცავს ღონისძიებებს, რომელიც გულისხმობს მიგრანტთა პოტენციალის გამოყენებას, საკონსულტაციო სერვისის შექმნას სტარტაპებისათვის, მრავალშვილიანი ოჯახებისათვის მიკრო და მცირე მეწარმეობისათვის ხელშეწყობას, რათა მოხდეს ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული უნარ-ჩვევების განვითარება.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის განხორციელებისათვის საჭირო ფინანსები გათვალისწინებული იქნება როგორც ქალაქ ქუთაისის 2019-2020 წლების ადგილობრივ ბიუჯეტში პროგრამებისა და ქვეპროგრამების სახით, ასევე კერძო სექტორის პარტნიორობით და თანამონაწილეობით, მაგრამ ადგილობრივი ბიუჯეტი და კერძო სექტორის მიერ პარტნიორობით განხორციელებული პროექტები საკმარისი არ იქნება ქალაქის ეკონომიკური განვითარების სტიმულირებისათვის. გამომდინარე აქედან, მნიშვნელოვანია საერთაშორისო დონორ ორგანიზაციებთან თანამშრომლობა დამატებითი გარე ფინანსური რესურსების მოზიდვისთვის.

2. შინაარსი

მერის მიმართვა 1

1. მოკლე მიმოხილვა 2

2. შინაარსი 3

3. ცხრილების, გრაფიკების და სურათების სია, აბრევიატურები 4

4. შესავალი 5

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი 6

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი 8

- ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი 8
- ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება 12
- ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია 13
- წვდომა ფინანსებზე 14
- მიწა და ინფრასტრუქტურა 15
- საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები 16
- უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა 16
- გარე პოზიციონირება და მარკეტინგი 17

7. „SWOT“ ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი 19

8. ხედვა და მიზნები 20

9. სამოქმედო გეგმა 21

10. დაფინანსებების სქემა 24

11. ქმედებების შიდა მონიტორინგის გეგმა 26

3. ცხრილების, გრაფიკების და სურათების სია, აბრევიატურები

ცხრილი №1 ეკონომიკური აქტივობების კლასიფიკაცია 2017 წლის მონაცემებით 8

ცხრილი №2 "აწარმოე საქართველოში" პროგრამით განხორციელებული დაფინანსება 2015-2017 წწ. (ევრო) 15

გრაფიკი №1 შრომისუნარიანი მოსახლეობის პროცენტული წილი 5

გრაფიკი №2 ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯი 11

გრაფიკი №3 ადგილობრივი ბიუჯეტიდან სახელმწიფო შესყიდვებით ხელმისაწვდომი ფინანსები (ევრო) 14

გრაფიკი №4 მუნიციპალური ქონების პრივატიზაცია (მიწა და შენობა) 2015-2017 წწ. 15

გრაფიკი №5 ტურისტთა ნაკადი ქუთაისში ქვეყნების მიხედვით, 2017 წელი 18

სურათი №1 ქუთაისი - ადმინისტრაციული ცენტრი 5

სურათი №2 ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი 7

სურათი №3 ქუთაისიდან ექსპორტი მსოფლიოს 17 ქვეყანაში 9

სურათი №4 პირდაპირი ფრენები ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან 18

„M4EG“ - მერები ეკონომიკური ზრდისთვის

აეგ- ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება

აეგგ - ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა

შშმ პირი - შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირი

„UNDP“ - გაეროს განვითარების პროგრამა

„SEAP“ - მდგრადი ენერგეტიკის განვითარების სამოქმედო გეგმა

ა(ა)იპ -არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

სსიპ - საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თიზ - თავისუფალი ინდუსტრიული ზონა

„SWOT“ ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი

„DCFTA“ – ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმება

4. შესავალი

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ შეუერთდა 2017 წლის 30 მაისს და აიღო ვალდებულებები მემორანდუმით გათვალისწინებული საკითხების შესრულებისთვის.

ქუთაისი 3500 წლის ისტორიით მსოფლიოს უძველესი ქალაქების ათეულში შედის, რომელიც დღესაც ვითარდება. ქალაქი მდებარეობს დასავლეთ საქართველოს ცენტრალურ ნაწილში და წარმოადგენს იმერეთის რეგიონის ადმინისტრაციულ ცენტრს.

სურათი №1. ქუთაისი - ადმინისტრაციული ცენტრი

ქუთაისი ტერიტორიული სიდიდის მიხედვით საქართველოს რიგით მეორე ქალაქია დედაქალაქის შემდეგ და მისი ფართობი 70 კვ.კმ-ია. იგი საქართველოს ყველა სტრატეგიულ ადგილთან საგზაო ქსელის მეშვეობითაა დაკავშირებული. მგზავრობის ხანგრძლივობა შეადგენს: ბათუმის პორტამდე - 2:20 სთ. (139 კმ.), ფოთის პორტამდე - 1:15 სთ. (105 კმ.), ხოლო ანაკლიის პორტამდე - 2:00 სთ. (123 კმ.), დედაქალაქამდე - 3 სთ. (225 კმ.), მთავარი სარკინიგზო სადგურამდე 15 წთ. (10 კმ.), ქუთაისის დავით აღმაშენებლის სახელობის საერთაშორისო აეროპორტამდე 20 წთ. (18 კმ.).

2016 წლის საყოველთაო აღრიცხვის მონაცემებით, ქალაქის მოსახლეობა 147.2 ათასი კაცია (საქართველოს მოსახლეობის 4 %). ქუთაისში მოსახლეობის სიმჭიდროვე 1კვ.კმ.-ზე შეადგენს 2103 კაცს, რაც ქვეყნის საშუალო მაჩვენებლებზე ბევრად მაღალია. მოსახლეობის საშუალო ასაკი 38,8 წელია, სიცოცხლის საშუალო ასაკი შეადგენს 72.9 წელს, ქალებისათვის ეს მაჩვენებელი - 77.2 წელია, ხოლო მამაკაცების შემთხვევაში 68.6 წელი. ქალაქად მაცხოვრებელი მოსახლეობის წილი მთელს მოსახლეობაში 100%. მიგრაციის შედეგად, 1989 წელთან შედარებით, ქუთაისის მოსახლეობა 36%-ით შემცირდა. 2014 წლის მდგომარეობით ქუთაისიდან ემიგრირებულად ფიქსირდება 52 414 ადამიანი.

გრაფიკი №1. შრომისუნარიანი მოსახლეობის პროცენტული წილი





მიგრაციული პროცესების შეჩერების, ახალი სამუშაო ადგილების შექმნის, მოსახლეობის შემოსავლების მატების და სოციალური ფონის გაუმჯობესებისათვის დგას საჭიროება ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მასტიმულირებელი ღონისძიებების გატარების. ამ თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საზღვარგარეთ მყოფი და სამშობლოში დაბრუნებული მიგრანტების გამოცდილების, კონტაქტების, ადამიანური თუ ფინანსური პოტენციალის გამოყენება. ასევე ქალაქის ტერიტორიაზე მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახების და სხვა მოწყვლადი ჯგუფების წახალისება და ხელშეწყობა მცირე და საშუალო ბიზნესში საქმიანობისთვის. ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ადგილობრივი თვითმმართველობა განიხილავს ადგილობრივ დონეზე კერძო-საჯარო თანამშრომლობის ხელშემწყობ კარგ პლატფორმად. აღნიშნულ ინიციატივაში ჩართვა იძლევა

დამატებით ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის შესაძლებლობებს ქალაქში ეკონომიკური ფონის გასაუმჯობესებლად.

ცხადია, ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების სტრატეგია შესაბამისობაში უნდა იყოს ქვეყნის მდგრადი განვითარების საერთო სტრატეგიასთან. ამის გათვალისწინებით, ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა (აეგგ) თანხვედრაში მოდის როგორც საქართველოს სოციალური-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიასთან „საქართველო 2020“, „საქართველოს რეგიონული განვითარების პროგრამასთან 2018-2021“, „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიასთან 2016-2020“, „იმერეთის რეგიონის განვითარების სტრატეგიასთან 2014-2021“, ასევე ქალაქ ქუთაისის მერიის მიერ უკვე შემუშავებულ სხვა გეგმებთან: ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი, ქალაქ ქუთაისის განვითარების სტრატეგია „ქუთაისი 2021“, „ქალაქ ქუთაისის ენერგეტიკის მდგრადი განვითარების სამოქმედო გეგმა“ (SEAP), „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2018-2019 წწ.“ (UNDP პროექტის ფარგლებში), „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კლიმატის ცვლილებასთან ადაპტაციის კონცეფცია“. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა (აეგგ) შემუშავდა სპეციალურად ევროკავშირის ინიციატივაში „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ ჩართვის მიზნით. თავის მხრივ, ის არ არის ყოვლისმომცველი დოკუმენტი და თვითმმართველობის დონეზე არსებული სხვა გეგმებისგან განსხვავებით, ფოკუსირებულია მხოლოდ კერძო სექტორის განვითარების, ეკონომიკური ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნის სტიმულირებაზე.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა (აეგგ) შემუშავდა კერძო-საჯარო სექტორის პარტნიორობით და ფართო ჩართულობით. მათი როლი ერთმნიშვნელოვნად ღირებული იყო გეგმის შემუშავების პროცესში. ასევე უდიდესი იქნება მათი წვლილი გეგმაში დასახული ღონისძიებების განხორციელების და მონიტორინგის ფაზაში.

აეგგ-ის შემუშავება დაეფუძნა ევროკავშირის ინიციატივა „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ მეთოდოლოგიას და თბილისის სამდივნოს მიერ შემოთავაზებულ რეკომენდაციებს.

აეგგ-ის განხორციელებისთვის ძირითადი საბიუჯეტო ასიგნებები გათვალისწინებულია ქუთაისის ადგილობრივ ბიუჯეტში პროგრამებისა და ქვეპროგრამების სახით, რომელიც არის კონკრეტული, დროში გაწერილი, მიღწევადი და გაზომვადი.

5. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიაში შეიქმნა აეგ ჯგუფი, რომელიც დაკომპლექტდა 7 წევრის: მერიის (3 წევრი), კერძო სექტორის (1 წევრი), სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების (2 წევრი) და სამეცნიერო წრის წარმომადგენლებისაგან (1 წევრი), რომელთა შერჩევა მოხდა შესაბამისი სექტორების რეკომენდაციებით, ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაზე მათი გავლენისა და ინტერესების მიხედვით. დაინიშნა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების მრჩეველი (აეგ ოფიცერი), რომელიც გეგმის როგორც შემუშავების, ასევე განხორციელების მთავარი კოორდინატორია. სამუშაო ჯგუფთან ერთად, ტექნიკური, ორგანიზაციული და საინფორმაციო უზრუნველყოფისთვის მუშაობდა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების განყოფილების ოთხი პროფესიული საჯარო მოხელე. ქალაქის საჭიროებებისა და პრიორიტეტების განსაზღვრისათვის ინფორმაციები შეგროვდა შემდეგი წყაროებიდან:

1) შეხვედრები და დისკუსიები არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ბიზნეს და სამეცნიერო წრეებთან;
2) ინტერვიუები და ანკეტირება სტუდენტ-ახალგაზრდობასთან და მოქალაქეებთან;
3) სტრატეგიული დოკუმენტები ქალაქის და რეგიონის შესახებ;
4) აეგ ჯგუფის დისკუსიები.

საბოლოო ჯამში აეგ ჯგუფმა გეგმის შემუშავებისათვის ჩაატარა 24 სამუშაო შეხვედრა.

მოსახლეობის და ბიზნეს სექტორის აზრით ახალი სამუშაო ადგილების შექმნისა და ეკონომიკური ზრდის სტიმულირებისთვის მნიშვნელოვანია: ქალაქში საჯარო ინფრასტრუქტურის მოდერნიზება, ქალაქის სწორი ურბანული განვითარებისა და ინვესტიციების მოზიდვისათვის მიწათსარგებლობის გეგმის არსებობა, ქალაქის, როგორც იმერეთის მხარის სავაჭრო ჰაბის ფუნციის განმტკიცებისათვის ქუთაისის საზღვრებში ლოჯისტიკური ცენტრის შექმნა, ასევე კრეატიული ბიზნესის სტიმულირება ისეთ დარგებში როგორიცაა არქიტექტურა, დიზაინი, მოდა, რეკლამა, შემოქმედებითობა წარმოებაში, პროგრამირება, გასართობი სექტორი.

მიღებული ინფორმაციის საფუძველზე შესაძლებელი გახდა მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების შემაფერხებელი ფაქტორების იდენტიფიცირება, ისინი შეფასდა მუნიციპალიტეტის შესაძლებლობების მიმართებაში და მათი გათვალისწინებით მოხდა აეგ გეგმის ფორმირება. საჭიროებების კვლევის დროს ძირითადად გამოიკვეთა:

1) **ტურიზმის სფეროს გაძლიერების საჭიროება.** ტურიზმი მიჩნეულია ადგილობრივი ეკონომიკის ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალა, თუმცა საჭიროა არსებული მომსახურებისა და რესურსების გაუმჯობესება, ტურიზმში ინოვაციური შესაძლებლობების გაფართოება, რეგიონის ტურისტული სერვისებისა და პროდუქტების დანერგვა, რაც მოიზიდავს უფრო მეტ ტურისტს და სრულად გამოიყენებს ადგილობრივ ტურისტულ პოტენციალს.
2) **მცირე და საშუალო ბიზნესის სტიმულირება.** აუცილებელია მეწარმეთა ცნობიერების გაზრდა არსებული სახელმწიფო პროგრამებისა და დაფინანსებების შესახებ, რათა გრძელვადიან პერსპექტივაში განავითარონ თავისი საქმიანობა. აგრეთვე მნიშვნელოვანია ქალაქში წარმოებული პროდუქციის ცნობადობის გაზრდა როგორც ადგილობრივ, ასევე საერთაშორისო ბაზარზე, რაც ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესს გაყიდვების ზრდასა და განვითარებაში.
3) **საინვესტიციო გარემოს გაუმჯობესება.** საჭიროა მუნიციპალიტეტმა თავისი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოს საჯარო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, რათა მოხდეს საინვესტიციოდ მიმზიდველ ადგილებზე ინტერესის ზრდა. ამავდროულად უნდა შეიქმნას ელექტრონული პროდუქტები ქალაქის საინვესტიციო და ეკონომიკური შესაძლებლობების წარმოჩენისათვის, რომელიც დაეხმარება ადგილობრივ და უცხოურ ბიზნესებს საქმიანი კავშირების დამყარებაში.

სურათი №2. ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შემუშავების პროცესი

ქალაქის სოციალურ-ეკონომიკური მაჩვენებლების ანალიზისა და კვლევისთვის მოხდა ინფორმაციის სხვადასხვა სახელმწიფო უწყებებიდან გამოთხოვა. უწყებებიდან მიღებული ინფორმაცია იყო მწირი, რადგან თვითმმართველ ქალაქ ქუთაისზე სოციალურ-ეკონომიკური მონაცემების

დამუშავება არ ხდება უფლებამოსილი სახელმწიფო სტრუქტურების მიერ. თუმცა გარკვეულწილად მოგვეცა ორიენტაციის საშუალება. რიგ პუნქტებში აეგ გეგმის მეთოდოლოგიით რეკომენდირებული მონაცემების მოპოვება ვერ მოხერხდა პერსონალურ და კომერციულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის შეზღუდვის გამო.

6. ადგილობრივი ეკონომიკური ანალიზი

- **ადგილობრივი ეკონომიკური სტრუქტურის ანალიზი**

საბჭოთა პერიოდის ქუთაისის ეკონომიკა ძირითადად ეყრდნობოდა წარმოების სფეროს, სადაც დაახლოებით 55 ათასი კაცი იყო დასაქმებული. საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენის შემდგომ დაიწყო დეინდუსტრიალიზაციის პროცესი და წარმოების დონის მკვეთრი დაცემა. საბაზრო ეკონომიკის პრინციპების დანერგვამ გამოიწვია ეკონომიკის დარგების სტრუქტურული ცვლილებები.

ქუთაისში ამჟამად 20 143 მოქმედი ბიზნეს სუბიექტია. აქედან მიკრო ბიზნესს წარმოადგენს 29,4%, მცირე ბიზნესს - 43,2%, საშუალო ბიზნესს - 27,3%, ხოლო 0,1% მსხვილ ბიზნესზე მოდის. ყოველწლიურად 1000-ზე მეტი ერთეულით იზრდება ახლად რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტების რაოდენობა, თუმცა ამასთანავე მიმდინარეობს მოქმედი ბიზნეს სუბიექტების შეჩერების და დახურვის პროცედურები.

ცხრილის № 1. ეკონომიკური აქტივობების კლასიფიკაცია 2017 წლის მონაცემებით

ეკონომიკური საქმიანობის ტიპები	*ბიზნეს ერთეულების რაოდენობა (კლასიფიკაციის მიხედვით)*			
	მიკრო	*მცირე*	*საშუალო*	*მსხვილი*
მრეწველობა	273	423	209	12
მშენებლობა		107	82	6
ტრანსპორტი, სასაწყობე, საფოსტო და მიწოდების სერვისები	389	121	43	
სასტუმროები, რესტორნები, კვება	53	519	31	
საინფორმაციო ტექნოლოგიები	11	18	9	
ფინანსები და დაზღვევა		11	27	4
უძრავი ქონების ოპერაციები	41	78	13	
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობა (მათ შორის, საბუღალტრო აღრიცხვა, არქიტექტურა, ინჟინერია, კვლევა და განვითარება, ბაზრის კვლევა, ვეტერინარული მომსახურება)	16	47	57	
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურება (ქირაობა, ლიზინგი, დასაქმება, ტურიზმი და დაჯავშნის სერვისი, უსაფრთხოებისა და გამოძიების მომსახურება, ადმინისტრაციული მომსახურება)	56	191	267	
განათლება	15	73	42	
ჯანდაცვა და სოციალური დახმარება	72	141	69	
კულტურა, სპორტი, გასართობი და დასასვენებელ-გამაჯანსაღებელი მომსახურება	49	76	25	
სხვა სახის მომსახურება (შენიშვნა: ამ კატეგორიაში გაერთიანებულია ყველა ის ბიზნეს კომპანია, რომლებმაც სამეწარმეო რეგისტრაციის პროცესში არ მიუთითეს კონკრეტული საქმიანობის სფერო, რადგან აღნიშნულის მითითება ნებაყოფლობითია)	4980	6947	4540	

ქუთაისის ეკონომიკაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს გადამამუშავებელ მრეწველობას, მაგრამ ის არ წარმოადგენს ეკონომიკის ძირითად მამოძრავებელ ძალას, რაზეც მეტყველებს ის ფაქტი,

რომ ქუთაისში დასაქმებული მოსახლეობის 39% ვაჭრობა-მომსახურების სფეროზე მოდის, წარმოების სფეროში კი მხოლოდ 11 % შეადგენს, შემდეგ მოდის ჯანდაცვა 10%, განათლება და სპორტი 18%, სხვადასხვა 22%.

შრომისუნარიანი მოსახლეობა ძირითადად დასაქმებულია საცალო და საბითუმო სავაჭრო ობიექტებში, ასევე მომსახურების სფეროს ისეთ დარგებში, როგორიცაა: ესთეტიკური მომსახურება, ინდკერვა, ავტო-ტექ სერვისი, საზკვება. ხოლო მცირე ზომის საწარმოებში დასაქმება გამოკვეთილია პურ-ფუნთუშეულის, საკონდიტროს, ნახევარფაბრიკატების სფეროში. გარდა ამისა, თვითდასაქმებულთა მნიშვნელოვანი წილი მოდის ე.წ. შრომის ბირჟებზე სამშენებლო და საყოფაცხოვრებო მიმართულებით.

ქუთაისში რეგისტრირებული ბიზნესის ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმების მიხედვით 73.2% ინდივიდუალურ მეწარმეებზე მოდის, 26,4% შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, 0,35% სააქციო საზოგადოება, ხოლო 0,05% უცხოური კომპანიების წარმომადგენლობებია.

ადგილობრივ ეკონომიკის განვითარებაში გენდერული ბალანსი შედარებით სუსტადაა გამოხატული. მეწარმე ქალთა ხვედრითი წილი 2017 წლის მონაცემებით 34% შეადგენს.

ქუთაისში წარმოებული პროდუქციიდან საერთაშორისო ხარისხის შესაბამისობაშია ტექსტილი, ფეხსაცმელი, მცენარეული ნედლეულის გადამუშავებით მიღებული პროდუქცია (სანელებლები, ჩირი, დაფნა, ჩაი), თხილი, თაფლი, საყოფაცხოვრებო მოხმარების ნივთები და ჯაგრისები, რომელთა ექსპორტს მსოფლიოს 17 ქვეყანაში 15 ადგილობრივი საშუალო ზომის კომპანია ახორციელებს.

სურათი №3. ქუთაისიდან ექსპორტი მსოფლიოს 17 ქვეყანაში

ექსპორტის პოტენციალის ზრდისთვის ბიზნესის ხელისშემშლელი ძირითადი ფაქტორებია: საექსპორტო ბაზრებზე ინფორმაციის არქონა, ადგილობრივი პროდუქციის არასაკმარისი ცნობადობა, ხარისხის საერთაშორისო მოთხოვნებთან შეუსაბამობა, არასათანადო სავაჭრო ლოჯისტიკური ინფრასტრუქტურა, არაკვალიფიციური კადრები.

მცირე და საშუალო კომპანიებს არ გააჩნიათ ადგილობრივ და საერთაშორისო ფორუმებში, კონფერენციებში და გამოფენა-ბაზრობებში მონაწილეობისათვის საჭირო ფინანსური რესურსი, რაც მნიშვნელოვანია, როგორც პარტნიორებთან კონტაქტების დამყარების და ინვესტორთა მოზიდვის თვალსაზრისით, ასევე მათ მიერ წარმოებული პროდუქციის თუ მომსახურების პოპულარიზაციისათვის. ბიზნეს სექტორი არ ფლობს შესაბამის ცოდნას ღრმა და ყოვლისმომცველი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საერთაშორისო სტანდარტებისა და ტექნიკური რეგლამენტების შესახებ.

ამ მიმართულებით გამოუყენებელია ასევე ქართული დიასპორის პოტენციალი, რომელსაც შეუძლია აქტიური მხარდაჭერა გაუწიოს მუნიციპალიტეტს როგორც ერთობლივი ეკონომიკური პროექტების განხორციელების, ქართული პროდუქციის პოპულარიზაციის, ისე მათი მიმღები ქვეყნების ბიზნეს-სუბიექტებთან ეკონომიკური კავშირების დამყარების, ქალაქების დაძმობილების ხელშეწყობის და სხვა გზით.

ტურიზმის სექტორი ერთ-ერთი პრიორიტეტული დარგია ქალაქის ეკონომიკაში. ქუთაისი იმერეთის რეგიონის ტურისტული პოტენციალის გამოყენებით, მნიშვნელოვან კონკურენციას უწევს ქვეყნის სხვა რეგიონებს. რეგიონის უნიკალურობა განპირობებულია უძველესი ისტორიულ-კულტურული მემკვიდრეობით, მრავალფეროვანი ბუნებით და ბუნებრივი ძეგლებით, ღვინით და სამზარეულოთი, მინერალური სამკურნალო და სასმელი წყლებით, ბალნეოლოგიური და სპა კურორტებით და სტუმარ-მასპინძლობის დიდი კულტურით. ქალაქს ტურისტული თვალსაზრისით გააჩნია პოტენციალი გახდეს მართვის რეგიონული ცენტრი, რომელიც შეძლებს ერთობლივი რეგიონული სერვისების, პროდუქტების, ბრენდის შექმნას და მოახდენს მის პოპულარიზაციას. ეს თავის მხრივ ხელს შეუწყობს ცნობადობის გაზრდას შიდა და გარე პოზიციებზე, ვიზიტორთა რაოდენობის და ტურიზმის სექტორიდან შემოსავლების ზრდას.

ბოლო წლებში მომსახურეობის სფეროში გააქტიურდა სამედიცინო და სასტუმრო ბიზნესი. მოქმედი 130-მდე სამედიცინო ბიზნეს სუბიექტის მიერ შეთავაზებული სერვისები ხელმისაწვდომია როგორც ადგილობრივი, ასევე რეგიონის, მათ შორის ოკუპირებული ტერიტორიებიდან მოსახლეობისათვის. სულ უფრო იზრდება იმ უცხოელების რაოდენობაც, რომლებიც საქართველოში სხვადასხვა სახის სამედიცინო სერვისით სარგებლობენ, ვითარდება სამკურნალო ტურიზმი.

ქალაქში მომატებული ტურისტების რაოდენობამ ბიძგი მისცა სასტუმრო ინდუსტრიის განვითარებას, მაგრამ არსებული 20 სასტუმრო, 220-ზე მეტი საოჯახო ტიპის სასტუმრო სახლი/ჰოსტელი ჯამში 2800-მდე საწოლით სეზონური დატვირთვის დროს სრულად ვერ აკმაყოფილებს მოთხოვნას.

ადგილობრივმა კვლევამ აჩვენა, რომ ტურისტთა ქალაქში დარჩენის საშუალო ხანგრძლივობა, 2 დღეს არ აღემატება, რადგან არსებული ტურისტული ლოკაციები არასაკმარისია და დგას საჭიროება ახალი ტურისტული, თუნდაც ინტერ-მუნიციპალური ლოკაციების შექმნისა, რომელიც აამაღლებს ქალაქის მიმზიდველობას და გაზრდის ქალაქში ტურისტთა ვიზიტის ხანგრძლივობას.

ქუთაისი დასავლეთ საქართველოს სავაჭრო ცენტრს წარმოადგენს, სადაც მოქმედი აგრო ბაზრობები, სავაჭრო-სადისტრიბუციო პუნქტები უზრუნველყოფენ რეგიონის სავაჭრო აქტივობებს, თუმცა არასაკმარისად არის განვითარებული სამაცივრე და სასაწყობე მეურნეობები.

ქუთაისში ლოკალიზებული ბაზრები და ბაზრობები ემსახურება იმ ძირითად პატარა ქალაქებსა და სოფლებს, რომლებიც მის სიახლოვესაა. ისინი ძირითადად სოფლის მეურნეობის დომინანტური მუნიციპალიტეტებია. არსებობს შესაძლებლობა როგორც აგრო-გადამამუშავებელი სფეროს განვითარებისა, ასევე სოფლის მეურნეობის ტურიზმთან დაკავშირებისა და ეკოტურიზმის განვითარებისა.

საინვესტიციო მიმზიდველობისათვის ქალაქს პირველ რიგში ხელს უწყობს იმერეთის რეგიონის რეკრეაციულ ზოლში მდებარეობა, 50-მდე საკურორტო-დასასვენებელი, სამკურნალო-სარეაბილიტაციო ცენტრების და კარსტული გამოქვაბულების სიახლოვე, ბუნებრივ რესურსებზე ხელმისაწვდომობა, ვაკე რელიეფი და კარგი კლიმატური პირობები. ქალაქს გარს აკრავს იმერეთის რეგიონის მჭიდროდ დასახლებული სოფლები, რომელთა მოსახლეობა, დაახლოებით 300 ათასი კაცი, ქალაქისთვის ხელმისაწვდომ აქტიურ სამუშაო ძალას წარმოადგენს და არის პოტენციალი მცირე გადამამუშავებელი საწარმოების შექმნისა.

ქუთაისში ასევე შექმნილია 2 თავისუფალი ინდუსტრიული ზონა, სადაც განხორციელდა 110 მლ-მდე აშშ დოლარის ინვესტიცია. თიზ-ში ფუნქციონირებს 107 საწარმო. დაწესებული შეღავათიანი

საგადასახადო სისტემისა და მომხიბვლელი პირობების მიუხედავად ინდუსტრიული ზონები ნაწილობრივ არის დატვირთული.

ქალაქი თავისი რელიეფური ხასიათით და კლიმატური პირობებით იძლევა ალტერნატიული/განახლებადი ენერგიის გამოყენების საშუალებას. ქუთაისი ნოტიო სუბტროპიკულ ოლქშია განლაგებული. აქ ადრე დგება გაზაფხული, ზაფხულის თვეებში მზე დღის განმავლობაში 8-9 საათია, ხოლო ზამთრის თვეებში 3,5-4 საათი, ანუ დაახლოებით 2000-2100 საათია მზის ნათების ხანგრძლივობა წელიწადში. ქარიანი დღეების წლიური ჯამი დაახლოებით 114 დღეა, სიჩქარე მაქსიმალური სიმძლავრისას 40 მ/წმ აჭარბებს. ქალაქს შუაზე ჰყოფს მდინარე რიონი, რომელიც საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო დანიშნულების ულევ წყლის რესურს იძლევა. ქუთაისში არსებული 2 ჰიდროელექტროსადგური (რიონჰესი, გუმათჰესი) წარმოების სტრუქტურაში 20-25%-იან სეგმენტს იკავებს. მათი სიმძლავრე ჯამში 115 მგვტ-ს შეადგენს.

ქალაქის ეკონომიკის განვითარებაში მნიშვნელოვანია ადგილობრივი ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალ-ეკონომიკური მიმართულებების პროექტების განხორციელება. ადგილობრივი პრობლემების მოგვარებისათვის საბიუჯეტო შემოსავლები არ არის საკმარისი და ის ძირითადად დამოკიდებულია სახელმწიფო ბიუჯეტის ტრანსფერებზე, რომელთა წილი დაახლოებით 55-60%-ია. საშუალოდ ბიუჯეტის 25-30% ხმარდება საჯარო ინფრასტრუქტურის განვითარებას, 8-10% მიემართება ბენეფიციართა სოციალური უზრუნველყოფისათვის.

გრაფიკი №2 ქალაქ ქუთაისის ბიუჯეტის ფაქტიური ხარჯი



მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარება ნელი ტემპით მიმდინარეობს. მიუხედავად არსებული გამარტივებული სარეგისტრაციო პროცედურების და მზარდი ახლად რეგისტრირებული ბიზნეს სუბიექტებისა, მცირეა მათი სიცოცხლისუნარიანობა. წარმოებაში არსებული დაბალი კონკურენტუნარიანობა, არსებული ამორტიზებული ტექნიკა, არასაკმარისად განვითარებული ინფრასტრუქტურა, არაკვალიფიციური კადრები, საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე პარტნიორების ნაკლებობა ბიზნესის ძირითადი ბარიერებია.

მოქალაქეთა დიდ ნაწილს არ გააჩნიათ საკმარისი ფინანსური და ქონებრივი რესურსები მცირე ბიზნესის წამოწყებისათვის. არ არსებობს მუნიციპალიტეტის დონეზე მათი საოჯახო ბიზნეს წამოწყების მასტიმულირებელი ღონისძიებები, რომელიც ოჯახს საშუალებას მისცემდა განევითარებინა ოჯახის წევრების ნდობაზე და შესაძლებლობაზე დამყარებული ბიზნესი.

ქუთაისი ცდილობს გაუმკლავდეს სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს. სახელმწიფოს მიერ განხორციელებული ინვესტიციები, სახელმწიფო პროგრამები და ადგილობრივი ბიუჯეტი საკმარისი არ არის ქალაქის ინკლუზიური ეკონომიკური განვითარებისთვის. აშკარად შესამჩნევი ხდება კერძო ინვესტიციების, ინოვაციებისა და ახალი ტექნოლოგიების ნაკლებობა. არასაკმარისად არის განვითარებული კერძო და საჯარო სექტორში რესურს დამზოგი ტექნოლოგიები და ენერგოეფექტური

სისტემები. ქალაქში არსებული M1, M2, M3 კატეგორიის სატრანსპორტო საშუალებები მოძველებულია. ავტოსატრანსპორტო პარკის განახლებისა და ქალაქში ბიზნეს აქტივობის სტიმულირებისათვის გამოიკვეთა საჭიროება ქალაქში მოეწყოს ელექტრომობილის დასამუხტი ინფრასტრუქტურა. შესაბამისად ადგილობრივ დონეზე დაწესდეს ელექტრომობილების 100% და ჰიბრიდულ ავტომობილებზე 50% შეღავათი პარკირების მოსაკრებელში და გამოიყოს სპეცადგილები, რაც გაზრდის ელექტრომობილების ჩართვას მცირე და საშუალო ბიზნეს საქმიანობაში.

დღემდე გრძელდება ადამიანური რესურსის გადინება ქალაქიდან და რეგიონიდან. ემიგრაციის დიდი მასშტაბების მიუხედავად, გამოუყენებელია მიგრანტების ფულადი გზავნილების საინვესტიციო პოტენციალი, არ არის შექმნილი დიასპორასთან კომუნიკაციისა და თანამშრომლობის განვითარების შესაბამისი მექანიზმები. გამოუყენებელია ასევე მაღალკვალიფიციური დიასპორის პროფესიული ცოდნა და ეკონომიკური შესაძლებლობები - ადგილობრივ და დიასპორულ/უცხო ბიზნესებს შორის კავშირების განვითარება, ინოვაციური ბიზნეს პროექტების/იდეების მოზიდვა და მათი დაფინანსების ახალ წყაროებზე, ახალ ტექნოლოგიებზე თუ გასაღების ბაზრებზე ხელმისაწვდომობა. ყოველივე ეს საჭიროებს აქტიურ ქმედებებს ადგილობრივ და რეგიონულ დონეზე.

ქუთაისი საქართველოს ურბანული ეკონომიკის ქალაქების დიდ ოთხეულში შედის, სადაც ნელი ტემპით იზრდება ადგილობრივი ეკონომიკა, შესაძლებელია ზრდის პროცესი კიდევ მეტად სწრაფი გახდეს საერთაშორისო ფირმებისა და დონორ ორგანიზაციებთან პარტნიორული ურთიერთობის განვითარებით, რომლებსაც შეუძლია ტექნიკური და ფინანსური დახმარების გაწევა ბიზნესის განვითარებისათვის. საინვესტიციო მიმზიდველ დარგებად მიიჩნევა უძრავი ქონება, ტრანსპორტი, მშენებლობა, მცირე საწარმოები, ტურიზმი და სასტუმრო ინდუსტრია.

- **ადგილობრივი თანამშრომლობა და საქმიანი საკომუნიკაციო ქსელის აგება**

ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა კერძო სექტორთან თანამშრომლობისა და საქმიანი კომუნიკაციისათვის იყენებს უშუალო შეხვედრებს და საჯარო დიალოგს, შექმნილია სათათბირო-საკონსულტაციო და მრჩეველთა ორგანოები, გაფორმებულია ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები, საზოგადოების კმაყოფილების შეფასების მიზნით პერიოდულად ტარდება გამოკითხვები, კვლევები შემდგომი ანალიზისა და დასკვნებისათვის. თუმცა თანამშრომლობის ეს ფორმები არაეფექტურია, რაც კერძო სექტორის ინერტულობით არის განპირობებული.

ფაქტობრივად ჩამოუყალიბებელია თანამშრომლობა ქალაქიდან/რეგიონიდან წასულ დიასპორასა და შრომით მიგრანტებთან ეკონომიკურ პროექტებში მათი მონაწილეობის კუთხით. ასევე განსავითარებელია კომუნიკაცია იმ მიგრანტებთან (საზღვარგარეთ მყოფი თუ სამშობლოში დაბრუნებული), რომელთა ეკონომიკური კავშირები და პროფესიული ცოდნა შეიძლება წარმატებით იქნეს გამოყენებული ადგილობრივი განვითარებისთვის.

სუსტია თანამშრომლობა თვით ადგილობრივ ბიზნესებს შორის, მათ შორის კავშირები მხოლოდ პირადი ურთიერთობებით შემოიფარგლება. განვითარებული არაა სამრეწველო, ტექნოლოგიური, საექსპორტო, საგანმანათლებლო, მომსახურების სფეროს, შერეული თუ სხვა სექტორული კლასტერები, რომლებიც ხელს შეუწყობდა ბიზნესს საერთო ცოდნის, სამუშაო ძალის, ბაზრის, სადისტრიბუციო არხების და სხვა საჭიროებების მოგვარებაში, რაც ქალაქის ეკონომიკაში მსგავსი დარგების ერთობლივ განვითარებას მისცემდა ბიძგს. გამოუყენებელია საუნივერსიტეტო სამეცნიერო კვლევების აპრობაცია ბიზნესში. სამრეწველო, სამშენებლო, სატრანსპორტო სფერო ვერ იყენებს საუნივერსიტეტო - სამეცნიერო კვლევებსა და ინოვაციებს.

- **ბიზნესისადმი მეგობრული, გამჭვირვალე და კორუფციისაგან თავისუფალი ადმინისტრაცია**

ადგილობრივი თვითმმართველობის მიერ დანერგილი ელექტრონული სერვისები და მომსახურების „ერთი ფანჯრის“ პრინციპი ხელს უწყობს ინფორმაციის პროაქტიულობას, კერძო სექტორის საჭიროებებზე დროულ რეაგირებას და ადმინისტრაციის ეფექტურ საქმიანობას. ნებისმიერი

დაინტერესებული პირისათვის ხელმისაწვდომია ინფორმაცია ელექტრონული სერვისებით განხორციელებულ ოპერაციებზე. სამშენებლო-სარეკლამო ნებართვების გამარტივებული წესით წარდგენა-მიღებისათვის მოქმედებს ვებ-გვერდი my.kutaisi.gov.ge. სამოქალაქო და კერძო სექტორს მუნიციპალურ ტენდერებში და აუქციონებში მონაწილეობის შესაძლებლობა აქვს ვებ-გვერდების procurement.gov.ge და eauction.gov.ge მეშვეობით. უძრავი ქონებით დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომია ქუთაისის ზონალური განაშენიანების ინტერაქტიული რუქა maps.kutaisi.gov.ge. 2018 წელს ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივ თვითმმართველობაში სამოქალაქო ჩართულობის ხელშეწყობისთვის ამოქმედდა ახალი პლათფორმა. USAID-ის „კარგი მმართველობის ინიციატივის“ (GGI) ფარგლებში შეიქმნა ვებ-გვერდი volis.kutaisi.gov.ge. ყველა დაინტერესებულ მოქალაქეს ეძლევა საშუალება წარმოადგინოს წინადადებები, იდეები ადგილობრივი ბიუჯეტის ფორმირების პროცესში. მიუხედავად მუნიციპალიტეტში არსებული სხვადასხვა სერვისებისა, დღესდღეობით არ არსებობს მომსახურება, რომელიც დაეხმარება როგორც სტარტაპებს, ასევე ბიზნესის დაწყებით დაინტერესებულ მოქალაქეებს. მსგავსი სერვისი ხელს შეუწყობდა ბიზნეს ცნობიერების ამაღლებას, ასევე ადგილობრივ ხელისუფლებასა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის განვითარებას.

ქუთაისში მოქმედებს იმერეთის რეგიონალური სავაჭრო-სამრეწველო პალატა 200 წევრი ბიზნეს სუბიექტით.

საქართველოში არსებობს მეწარმეობის მხარდამჭერი სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“. იმერეთის რეგიონში მოცემული პროგრამას კოორდინაციას უწევს „საქართველოს სკაუტური მოძრაობა“. გრანტების მოპოვების შესაძლებლობებზე ასევე სერვისებს ახორციელებს ქუთაისში მოქმედი „ბიზნეს-ინკუბატორი“, რომელიც შექმნილია სსიპ - აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა სტაჟირების, კვალიფიკაციის ამაღლებისა და დასაქმების ხელშეწყობის ცენტრის იმერეთის წარმომადგენლობის ბაზაზე.

ადგილობრივი მეწარმეებისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს გამოწვევად რჩება იმპორტირებული საქონელი. ადგილზე წარმოებული პროდუქცია კონკურენციას ვერ უწევს ბაზარზე არსებულ შედარებით იაფ და რიგ შემთხვევაში უხარისხო იმპორტირებულ პროდუქტს. თვითმმარველობის მხრიდან მეწარმეთა ხელშემწყობი ღონისძიებების განხორციელებით, გაიზრდება ადგილობრივი პროდუქციის ცნობადობა და შესაბამისად მოიმატებს რეალიზაცია.

სამუშაოს მაძიებელთათვის ქუთაისში სერვისებს ახორციელებს სოციალური მომსახურების სააგენტოს იმერეთის ცენტრი worknet.gov.ge მეშვეობით.

მოქალაქეები და კერძო სექტორი მრავალფეროვანი სერვისით სარგებლობს ქუთაისში მოქმედ იუსტიციის სახლში, რომელიც ახორციელებს ბიზნესის და ქონების გამარტივებულ რეგისტრაციას, სააღმსრულებლო მომსახურებას, საარქივო და ონლაინ სერვისებს.

ნულოვანი ტოლერანტობა კორუფციის მიმართ და კარგი მმართველობის პრინციპები წარმოადგენს ადგილობრივი ხელისუფლების უმთავრეს წინაპირობას რათა გაიზარდოს ნდობა კერძო ბიზნეს წრეებში და სამოქალაქო საზოგადოებაში. ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი არის პირველი საქართველოში, რომელმაც UNDP-თან თანამშრომლობით შეიმუშავა „ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2018-2019 წწ“.

მიუხედავად ქუთაისში არსებული სხვადასხვა საჯარო სერვისებისა, ადგილობრივი მოსახლეობა და კერძო სექტორი ნაკლებადაა ინფორმირებული ამ მომსახურებებზე და ინდიფერენტულია მათი სარგებლიანობის მიმართ.

- **წვდომა ფინანსებზე**

ქუთაისში ოპერირებს 11 საბანკო, 9 მიკრო - საკრედიტო და 6 სადაზღვევო დაწესებულება, რომლებიც სხვადასხვა ფინანსურ პროდუქტს სთავაზობენ ბიზნესს. მიუხედავად გრძელვადიანი საპროცენტო განაკვეთის შემცირებისა (ეროვნულ ვალუტაში 20%-იდან 15,7%-მდე და უცხოურ

ვალუტაში 15,6%-იდან 10,6%-მდე), ის კვლავ მაღალია მცირე და საშუალო მეწარმეებისათვის. ამავე დროს მათ არა აქვთ შესაძლებლობა დააკმაყოფილოს სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები. გარდა ამისა მცირე და საშუალო მეწარმეებს არ აქვთ საკმარისი ცოდნა კაპიტალის ზრდის ინსტრუმენტებისა და ალტერნატიული დაფინანსების წყაროებზე. მცირე და საშუალო ბიზნესი შეზღუდულია მონაწილეობდეს დონორი ორგანიზაციების საგრანტო პროგრამებში და გახდეს გრანტის ბენეფიციარი.

ფინანსებზე წვდომა შესაძლებელია სახელმწიფო და მუნიციპალური შესყიდვებით.

გრაფიკი №3. ადგილობრივი ბიუჯეტიდან სახელმწიფო შესყიდვებით ხელმისაწვდომი ფინანსები (ევრო)



სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ სტატისტიკის თანახმად ქუთაისიდან წარდგენილი ბიზნეს-განაცხადების 54% მცირე წარმოების სფეროში სტარტაპებს უკავშირდება. ბოლო სამ წელიწადში სულ მხარდაჭერილია 175 ბიზნეს კომპანია, რომელთა მიმართ საინვესტიციო მოცულობამ მიაღწია 3 853 570 ევროს და მათზე გრანტის სახით გაცემულია 373 200 ევრო, რაც საერთო ჯამში 4 226 770 ევროა.

ცხრილი №2. "აწარმოე საქართველოში" პროგრამით განხორციელებული დაფინანსება 2015-2017 წწ. (ევრო)

	2015 წ.	2016 წ.	2017 წ.
მცირე არასასოფლო მომსახურება (66 პროექტი)	25 665	67 262	60 760
მცირე არასასოფლო წარმოება (94 პროექტი)	25 682	92 095	97 265
მცირე სასოფლო მომსახურება (1 პროექტი)	0	0	1 767
მცირე სასოფლო წარმოება (6 პროექტი)	3 730	9 542	3 533
სასტუმრო (2 პროექტი)	0	0	786 309
მსხვილი წარმოება (6 პროექტი)	168 835	1 095 743	1 846 864

აქტუალურ ამოცანად რჩება საფინანსო პროდუქტებისა და მექანიზმების განვითარება საზღვარგარეთ მყოფი შრომითი მიგრანტებისა და დიასპორისათვის, რათა მოხდეს მათი ფულადი რესურსების საინვესტიციო კაპიტალად მოზიდვა და გამოყენება. ეს ამოცანა საფინანსო და საჯარო სექტორების თანამშრომლობის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულებაა.

- **მიწა და ინფრასტრუქტურა**

ქალაქის 2/3 განაშენიანებულია, თუმცა თანაბარი ურბანული განვითარების და ინვესტირების შემაფერხებელ გარემოებას წარმოადგენს ქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის არქონა. ქალაქში საჯარო ინფრასტრუქტურის პროექტების მიმდინარეობამ ინტერესი გაზარდა უძრავი ქონების მიმართ. ქუთაისის საზღვრებში არსებული თავისუფალი მიწის ნაკვეთების უმეტესი ნაწილი სახელმწიფოს საკუთრებაშია. ხშირია შემთხვევა, რომ მათი განკარგვისას არ ხდება თვითმმართველობის ინტერესის გათვალისწინება. ასევე პრობლემაა თავისუფალი მიწის ნაკვეთების რეგისტრაციის პროცედურები, რადგან მეტწილად ის სახელმწიფოს საკუთრებაში ექცევა. მუნიციპალიტეტი ყოველწლიურად ავლენს მის საკუთრებაში არსებულ გამოუყენებელ უძრავ ქონებას, ამტკიცებს საპრივატიზაციო გეგმის სახით და განკერძოებას ახდენს ელექტრონული აუქციონის წესით. განკერძოებული მუნიციპალური ქონების გარკვეული ნაწილი კვლავ დაუტვირთავია, რადგან პრივატიზაციის პროცესში არ ხდება მკაფიო საინვესტიციო პირობებისა და ვალდებულებების განსაზღვრა. ქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის მიღების შემთხვევაში ბიძგი მიეცემა საინვესტიციო აქტივობებს და ქალაქის თანაბარ ურბანულ განვითარებას. არსებითი ყურადღება უნდა დაეთმოს საპრივატიზაციო ქონების საინვესტიციო პირობების დაზუსტებასა და მისი შესრულების მონიტორინგს. ინკლუზიური ეკონომიკის ზრდის სტიმულირებისათვის მნიშვნელოვანია საჯარო ინფრასტრუქტურის მოდერნიზება. ადგილობრივი ბიზნესი ინვესტირებას არ ახორციელებს თანამედროვე ტექნოლოგიებისა და სისტემების დანერგვაში, რაც ხელს შეუწყობდა გარემოს გაუმჯობესებას და ახალი ბიზნეს ინიციატივების რეალიზებას, ასევე გამორჩეული იქნებოდა თავისი ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტებით.

გრაფიკი №4. მუნიციპალური ქონების პრივატიზაცია (მიწა და შენობა) 2015-2017 წწ.



ქალაქი ეკონომიკური აქტივობისათვის უზრუნველყოფილია კომუნალური ინფრასტრუქტურით: ელექტრიფიცირება 100%, გაზიფიცირება 98%, სასმელი წყლით მომარაგება 99%, ინტერნეტთან წვდომა 63%.

- **საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები**

აეგგ-ის სამუშაო ჯგუფმა ბიზნეს სექტორთან შეხვედრების შედეგად გამოავლინა ის ძირითადი პრობლემები, რომლებსაც აწყდება ბიზნესი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოების ფარგლებში. მიუხედავად იმისა რომ ქუთაისში ეკონომიკური საქმიანობის ზრდის ხელშეწყობისათვის ადგილობრივ გადასახადებსა და მოსაკრებლებზე შემოღებულია დაბალი სატარიფო განაკვეთები, ადგილობრივ მეწარმეებს ისინი მოუქნელად და არასამართლიანად მიაჩნიათ. ადგილობრივი ბიზნესი ითხოვს გადასახადებისა და რეგულაციების შემდგომ სრულყოფასა და დახვეწას. მაგალითად, როგორიცაა გაანგარიშების და ადმინისტრირების წესები და სანებართვო საკითხებში ბიუროკრატიული ბარიერების მინიმუმამდე დაყვანა. გარდა ამისა ბიზნესი დღემდე მოითხოვს იმ კანონების სრულყოფას, რომლებიც არეგულირებს ეროვნულ ვალუტას, იმპორტს, ექსპორტს, ჯანსაღ კონკურენციას, სახელმწიფო შესყიდვებს, ფინანსური რესურსების გამოყენებას და სხვა. ასევე დგას საჭიროება ელექტრომანქანების პოპულარიზაციისათვის, ეკონომიურობისა და ეფექტურობისათვის ბიზნესი და მოქალაქეები წახალისდეს შესაბამისი საშეღავათო პირობებით თვითმმართველობის კომპეტენციების ფარგლებში.

- **უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა.**

ქუთაისში ფუნქციონირებს 2 სამეცნიერო უნივერსიტეტი, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით მნიშვნელოვან შრომით რესურსს ქმნის. მიმდინარეობს ახალი ტექნოლოგიური უნივერსიტეტის მშენებლობა სავარაუდოდ 60 ათას სტუდენტზე გათვლით, რომლის კონცეფცია და სასწავლო პროგრამები მუშავდება მიუნხენის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან პარტნიორობით. მიუხედავად შრომითი რესურსის პოტენციალისა ადგილობრივი შრომის ბაზარზე სუსტადაა დაცული მოთხოვნა-მიწოდების ბალანსი. უკეთესი სამუშაო პირობებისა და მაღალი ანაზღაურებადი სამუშაოს მოძიების მიზნით ხდება კვალიფიცირებული კადრების გადინება. ძირითადად ამ კადრებს წარმოადგენენ უმაღლეს დამთავრებული ახალგაზრდები და პროფესიული უნარების მქონე პირები. ხოლო ქალაქში დარჩენილ სხვა შრომისუნარიან პირებს ესაჭიროებათ დამსაქმებლის მოთხოვნებთან მათი უნარების ადეკვატურობა და შესატყვისობა. ქალაქში არ არსებობს კოორდინაცია მუნიციპალიტეტს, კერძო სექტორსა და საგანმანათლებლო სასწავლო დაწესებულებებს შორის საჭიროებებზე მორგებული კადრების გადამზადების მხრივ, ასევე სუსტადაა განვითარებული უმაღლეს სასწავლებლებსა და ბიზნესს შორის კავშირი, აკადემიურ წრეებში არსებული ცოდნა ნაკლებად ვრცელდება ეკონომიკის პროდუქტიულ სექტორებში და პირიქით, ბიზნესში არსებული- უნივერსიტეტებში. მიუხედავად ქალაქში არსებული სამუშაო ადგილების სიმცირისა, წარმოების სფეროში არის რიგი დარგები, რომლებმაც გააფართოვა თავისი საქმიანობა სხვადასხვა სახელმწიფო პროგრამით დაფინანსების ფარგლებში და შექმნა ახალი სამუშაო ადგილები. ერთის მხრივ, დამსაქმებელს უჭირს კვალიფიციური კადრების მოძიება, მეორეს მხრივ სამუშაოს მაძიებლებში ნაკლებ ინტერესს აღძრავს შეთავაზებული არასაკმარისი ხელფასი და სოციალური გარანტიები.

დამსაქმებლის მიერ მოთხოვნილი უნარების იდენტიფიცირების მიზნით ჩატარებული კვლევებით გამოჩნდა, რომ ქალაქის კერძო სექტორში დასაქმებულთა 51% უმაღლესი განათლებით არის, 28% საშუალო განათლება აქვს, ხოლო 21% არის პროფესიული განათლებით. დასაქმებულთა განაწილება განათლების დონეების მიხედვით აჩვენებს, რომ ერთის მხრივ უმაღლესდამთავრებულთა დასაქმების დონე მაღალია, თუმცა ნაკლებადაა სადიპლომო კვალიფიკაციის შესატყვის პოზიციაზე დასაქმებული, მეორეს მხრივ პროფესიული განათლების მქონე ადამიანებს აქვთ თვითრეალიზების დაბალი შესაძლებლობა, რადგან რიგ პოზიციებზე არაადეკვატურად მოთხოვნილია სავალდებულოდ უმაღლესი განათლება. სამუშაო ვაკანსიების შევსების ძირითად პრობლემურ მიზეზად სახელდება: დამსაქმებლის მხრიდან - აპლიკანტთა დაბალი კვალიფიკაცია, გამოცდილების სიმცირე, ხოლო დასაქმების მსურველთა მხრიდან- ვაკანსიების შევსება ნაცნობ-მეგობრობით, შეთავაზებული დაბალი ანაზღაურება და სოციალური გარანტიები, ასევე არანაზღაურებული არასამუშაო საათები. კერძო სექტორისთვის ძირითადად მოთხოვნადია შემდეგი პოზიციები: სამშენებლო ინჟინერი, არქიტექტორ-დიზაინერი, პროგრამისტი, საინფორმაციო ტექნოლოგიების (IT) სპეციალისტი, გაყიდვების მენეჯერი, გიდი, ადმინისტრატორი, დამხმარე, ტექნიკური და მომსახურე პერსონალი.

რიგი დამსაქმებლისთვის პრიორიტეტს არ წარმოადგენს დასაქმებულთა უნარების შემდგომი განვითარება. შესაბამისად, აქტუალურია მუნიციპალიტეტის ჩართულობა როგორც სამუშაო ძალაზე მოთხოვნის, ისე მიწოდების კვლევასა და შეფასებაში, პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ბიზნესის თანამშრომლობის მხარდაჭერა, სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამის შემუშავება-განხორციელებაში აქტიური მონაწილეობა, სამუშაოს მაძიებელთა ზოგადი უნარების განვითარების მიზნობრივი პროგრამების შემუშავება-განხორციელება და ა.შ. ამ მიმართულებით წარმატებით შეიძლება იქნეს გამოყენებული ქართული დიასპორის შესაძლებლობები (კვალიფიციური დიასპორელების დროებითი მოწვევა კონსულტანტების სტატუსით; მათი დახმარება მიმღები ქვეყნების პროფილურ სასწავლებლებთან, დაწესებულებებთან კომუნიკაციასა და თანამშრომლობის სქემების განვითარებაში). ამ მიზნით

გამოყენებული უნდა იქნეს საქართველოსა და უცხოეთში მოღვაწე საერთაშორისო და დიასპორული ორგანიზაციები.

როგორც მრავალშვილიანი ოჯახები, ისე სხვა მოწყვლადი ჯგუფები, მოკლებულნი არიან შეიძინონ ან განავითარონ სამეწარმეო უნარები, რაც ხელისშემშლელ ფაქტორად გვევლინება მათი მხრიდან ახალი სტარტაპების დაწყებისა ან არსებულის გაფართოვებისათვის.

ადგილობრივი ბიზნესი ასევე მოკლებულია ისეთი მოქნილი სერვისების მიღებას, რაც ხელს შეუწყობს მოკლე პერიოდში და ერთ სივრცეში მათ საინფორმაციო უზრუნველყოფას, უნარების განვითარებას პოტენციური ინვესტორების მოძიების კუთხით და მოქმედი რეგულაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

- **გარე პოზიციონირება და მარკეტინგი**

ქუთაისი მდებარეობს ევროპისა და აზიის დამაკავშირებელ სატრანსპორტო დერეფანთან ახლოს, რაც კიდევ უფრო მიმზიდველს და კონკურენტუნარიანს ხდის ქალაქს ბიზნესის განვითარებისათვის. დაბალ ბიუჯეტიანმა ფრენებმა ქუთაისის აეროპორტიდან გაზარდა მგზავრთა ნაკადი და დღის წესრიგში დადგა აეროპორტის გაფართოება, რაც თავის მხრივ შესაძლებლობებს მატებს ქალაქს ტურისტული და საინვესტიციო მიმზიდველობის კუთხით.

ლოკალურ და საერთაშორისო არენაზე ქალაქის გარე პოზიციონირებისა და ცნობადობის გაზრდას ხელს უწყობს ქუთაისში მოქმედი საქართველოში ყველაზე დიდი მრავალფუნქციური ააიპ „ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი“, რომელიც ყოველწლიურად მონაწილეობს საერთაშორისო ტურისტულ გამოფენა-ბაზრობებში, პერიოდულად ეწყობა ინფო-ტურები უცხოელი ტურ-ოპერატორებისა და მასმედიის წარმომადგენლებისათვის. ქუთაისის განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი მთავარი მიზნის - ქუთაისი რეგიონის ტურისტული ჰაბი, მიღწევისათვის დანერგილი არ არის პლატფორმა, რომელიც ხელს შეუწყობდა იმერეთის რეგიონის პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის ინდუსტრიის ორგანიზებულ განვითარებას და ქალაქის ცნობადობის ზრდას.

სურათი №4 პირდაპირი ფრენები ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტიდან

გრაფიკა №5 ტურისტთა ნაკადი ქუთაისში ქვეყნების მიხედვით , 2017 წელი



გარე პოზიციონირებას ხელს უწყობს ასევე 22 დაძმობილებულ ქალაქთან მემორანდუმით გათვალისწინებულ სფეროებში თანამშრომლობა. საგარეო პოზიციებზე აქტივობებმა გასულ წელთან შედარებით 19,6%-ით გაზარდა ვიზიტორთა რაოდენობა.

საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების (DCFTA) ხელმოწერით გაიზარდა ქვეყნის, მათ შორის ქუთაისის ეკონომიკის როლი და მნიშვნელობა. ეს ხელს უწყობს ერთის მხრივ ადგილობრივ ბიზნესს შევიდეს ევროპულ ბაზარზე, გაზარდოს გაყიდვები, დაასაქმოს მეტი ადამიანი და მეორეს მხრივ ზრდის უცხოელ ინვესტორთა დაინტერესებას. ქუთაისს კი სატრანსპორტო დერეფნებთან სიახლოვის და ადვილი ხელმისაწვდომობის გამო აქვს პერსპექტივა გახდეს დასავლეთ საქართველოში მიმზიდველ საინვესტიციო ადგილად.

საგარეო დონეზე ეკონომიკურ მიმზიდველობას ხელს უწყობს ქუთაისში მოქმედი 2 თავისუფალი ინდუსტრიული ზონის არსებობა. 63 ჰექტარზე შექმნილ თიზ-ებში ფუნქციონირებს 250-მდე ბიზნესკომპანია, რომლებიც ვაჭრობის, მომსახურებისა და წარმოების სფეროში ოპერირებენ. წარმოებული პროდუქციის 70% გადაიტვირთება აზიურ ქვეყნებში.

ადგილობრივი მარკეტინგული კვლევებისა და კერძო სექტორთან შეხვედრების ანალიზმა აჩვენა, რომ მიუხედავად რიგი ხელსაყრელი სამეწარმეო პირობების არსებობისა, ადგილობრივ მოსახლეობას უჭირს სამეწარმეო საქმიანობის დაწყება, საკუთარი შესაძლებლობების დამოუკიდებლად რეალიზება, თვითდასაქმებისა და დამატებითი შემოსავლების შექმნის მიზნით, რადგან მწირია მათი შემოსავლები, მიუწვდომელია ფიზიკური პირთათვის ხელსაყრელი საბანკო პროდუქტები და რთულია ბაზარზე დამკვიდრების შესაძლებლობები. შესაბამისად შრომისუნარიანი მოსახლეობა, განსაკუთრებულად კი უმაღლესდამთავრებული ახალგაზრდობა, ალტერნატივად მიიჩნევს ქალაქიდან მიგრაციას. მიგრაციული პროცესების შესაჩერებლად აუცილებელია ქალაქში საინვესტიციო აქტივობების ზრდა, რათა წახალისდეს ქალაქის ეკონომიკა და შეიქმნას ახალი სამუშაო ადგილები.

ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა შემუშავებულია ქუთაისში არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის, მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებების და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების გათვალისწინებით. სამოქმედო გეგმით დასახული ღონისძიებების კერძო-საჯარო პარტნიორობით განხორციელება ხელს შეუწყობს დასახული მიზნების მიღწევას 2020 წლისათვის. შესაბამისი ქმედებები გაწერილია თანდართულ სამოქმედო გეგმაში და გათვალისწინებულია ასევე მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები.

7. SWOT ანალიზი - ძლიერი და სუსტი მხარეების, შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზი

ქვემოთ მოცემული SWOT ანალიზი მოიცავს ქუთაისის ეკონომიკის, საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს ძლიერ და სუსტ მხარეებს, აგრეთვე არსებულ შესაძლებლობებსა და პოტენციურ საფრთხეებს. ეკონომიკის ინკლუზიური განვითარების, ქალაქში სამეწარმეო აქტივობის ზრდის საფუძვლად მიჩნეულია, როგორც ისტორიულ-გეოგრაფიული მემკვიდრეობა, ასევე ის შესაძლებლობები, როგორიც არის ქალაქის ლოჯისტიკურ, ტურისტულ, საგანმანათლებლო და ვაჭრობა-მომსახურების ცენტრად ჩამოყალიბება.

8. ხედვა და მიზნები

აეგ გეგმის შემუშავების პროცესში, მოქალაქეების და კერძო სექტორის მხრიდან გამოკვეთილი წინადადებების, რეკომენდაციების, საჭიროებების გათვალისწინებით შემუშავდა ქალაქის სტრატეგიული ხედვა და შესაბამისი მიზნები, რომელთა მიღწევა დაიგეგმა 2019-2020 წლების განმავლობაში. დაგეგმილი აქტივობებიდან გამომდინარე, ქ. ქუთაისის მუნიციპალიტეტში ბიძგი მიეცემა ქალაქის ცნობადობის ზრდას, ბიზნესს წარმოებასთან დაკავშირებული ადამიანური უნარების განვითარებას, საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესებას.

სტრატეგიული ხედვა

ქუთაისი მიზნად ისახავს გახდეს ქალაქი, სადაც განვითარებული საინვესტიციო და სამეწარმეო გარემო, ცნობადს ქმნის ქალაქს საერთაშორისო დონეზე და ხელს უწყობს ადგილობრივი ეკონომიკის ზრდას, განვითარებას და დასაქმებას.

სტრატეგიული მიზანი:

1. **საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება.**
2. **ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული ადამიანური უნარების განვითარება.**
3. **ქალაქის ცნობადობის გაზრდა**

9. სამოქმედო გეგმა 2019-2020 წ.წ.

თემატური ბლოკები	*მთავარი მიზნები*	*ქმედებები*	*ხანგრძლივობა (დაწყება / დასრულება)*	*მონაწილე პარტნიორები*	*საორიენტაციო ღირებულება ეროვნულ ვალუტაში (ექვივალენტი ევროში)*	*მონიტორინგის მაჩვენებლები / მყისიერი შედეგების ინდიკატორები*	*შედეგები / საბოლოო შედეგების ინდიკატორები*
გარე პოზიციონირება და მარკეტინგი	1.საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება 2.ქალაქის ცნობადობის გაზრდა	1.დესტინაციის მართვის ორგანიზაციის შექმნა (DMO)	იანვარი 2019 - დეკემბერი 2020	**განმახორციელებელები**: ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა; ააიპ ქუთაისის ტურიზმის საინფორმაციო ცენტრი; **პარტნიორები:** იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია; ტურიზმის ეროვნული სააგენტო;	1 340 000 ლარი (447 000 ევრო)	**შედეგი:** შეიქმნა საერთაშორისო ტურისტულ ბაზარზე მოქნილი და კონკურენტუნარიანი რეგიონალური პროდუქტი; **ინდიკატორი:** შექმნილი ტურისტული პროდუქტის რაოდენობა;	**შედეგი:** საერთაშორისო ვიზიტორების გაზრდილი რაოდენობა; **ინდიკატორი:** ვიზიტორთა სტატისტიკური მაჩვენებლები (ქუთაისის საერთაშორისო აეროპორტის და ტურიზმის რეგიონალური ცენტრის მონაცემები);
		2. ქალაქის საინვესტიციო პორტფოლიოს შექმნა	თებერვალი-დეკემბერი 2019	**განმახორციელებელი**: ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა; **პარტნიორები:** იმერეთი რეგიონული სავაჭრო სამრეწველო პალატა; USAID;	45 000 ლარი (15 000 ევრო)	**შედეგი:** შესწავლილი იქნა ქალაქში საინვესტიციო უძრავი ქონება და ლოკაციები; **ინდიკატორი:** შესწავლილი საინვესტიციო უძრავი ქონების და ლოკაციების რაოდენობა;	**შედეგი:** მომზადდა საინვესტიციო წინადადებები არანაკლებ 10 ლოკაციაზე; **ინდიკატორი:** ბეჭდური და ელექტრონული ვერსიის რაოდენობა;
		3.ყოველწლიური საერთაშორისო ბიზნეს ფორუმის ორგანიზება	მარტი 2019-ნოემბერი 2020	**განმახორციელებელი**: ადგილობრივი თვითმმართველობა; **პარტნიორები:** საგარეო საქმეთა სამინისტრო; იმერეთის სამხარეო ადმინისტრაცია; იმერეთის რეგიონული სავაჭრო სამრეწველო პალატა; თავისუფალი ინდუსტრიული ზონები;	200 000 ლარი (67000 ევრო)	**შედეგი:** ჩატარდა საერთაშორისო ბიზნეს ფორუმი; **ინდიკატორი:** ფორუმში მონაწილეთა რაოდენობა;	**შედეგი:** გაიზარდა ქალაქის ცნობადობა; **ინდიკატორი:** მონაწილე საერთაშორისო ორგანიზაციების რაოდენობა;

				ადგილობრივი ბიზნეს სექტორი			
		4. ადგილობრივი პროდუქციის ყოველწლიური გამოფენა-ბაზრობების ორგანიზება	აპრილი 2019-სექტემბერი 2020	**განმახორციელებელი**: ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა; **პარტნიორები:** ადგილობრივი ბიზნესის სექტორი; იმერეთის რეგიონის სავაჭრო სამრეწველო პალატა;	10 000 ლარი (3 500 ევრო)	**შედეგი:** ჩატარდა გამოფენა ბაზრობები; **ინდიკატორი:** ჩატარებული გამოფენა ბაზრობების რაოდენობა;	**შედეგი:** გაიზარდა ადგილობრივი პროდუქციის ცნობადობა; **ინდიკატორი:** ადგილობრივი პროდუქტების გაყიდვების რაოდენობა;
		5. სარეკლამო /საინფორმაციო ბილბორდების მოწყობა	ივლისი2019-დეკემბერი 2020	**განმახორციელებელი:** ადგილობრივი ბიზნესის სექტორი; **პარტნიორები:** ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა; სსიპ „აწარმოე საქართველოში“; იმერეთის რეგიონული სავაჭრო სამრეწველო პალატა;	50 000 ლარი (16 700 ევრო)	**შედეგი:** ადგილობრივი პროდუქციის გაყიდვების ზრდისათვის მოეწყო სარეკლამო/საინფორმაციო ბილბორდები; **ინდიკატორი**: ბილბორდების რაოდენობა;	**შედეგი:** გაიზარდა ადგილობრივი პროდუქციის ცნობადობა; **ინდიკატორი:** ბილბორდებზე განთავსებული ბიზნეს რეკლამის რაოდენობა;
		6. ინტერ-მუნიციპალური პროექტი - ახალი ტურისტული ლოკაცია	ივლისი-დეკემბერი 2020	**განმახორციელებელი:** ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტი; **პარტნიორები:** ბიზნესის სექტორი;	300 000 ლარი/ 100 000 ევრო	**შედეგი:** შემუშავდა ახალი ლოკაციის მოწყობის მიზანშეწონილობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა; **ინდიკატორი**: სატენდერო დოკუმენტაცია; ტენდერის შედეგები;	**შედეგი:** მოხდა დონორის/პარტნიორის მოძიება; **ინდიკატორი:** გაფორმებული ხელშეკრულება;

უნარები და ადამიანური კაპიტალი, ინკლუზიურობა წვდომა ფინანსებზე	1.ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული უნარების განვითარება	7. მიგრანტთა პოტენციალის გამოყენება ადგილობრივი განვითარების დაჩქარებისთვის	მარტი 2019-დეკემბერი 2020	**განმახორციელებელი:** ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა; **პარტნიორები:** მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM); საბანკო და მიკროსაფინანსო ორგანიზაციები; საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორის დეპარტამენტი; ადგილობრივი ბიზნესი	68 000 ლარი (22 700) ევრო)	**შედეგი:** მოხდა ადგილობრივი ხელისუფლების მიერ მიგრანტთა ეკონომიკური პოტენციალის გაცნობიერება; **ინდიკატორი:** ჩატარებული ტრენინგების რაოდენობა;	**შედეგი:** დიასპორის წარმომადგენლებთან ჩატარებული შეხვედრები; **ინდიკატორი:** დიასპორის წარმომადგენლებთან ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა;
		8. მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა მრავალშვილიანი ოჯახებისათვის	იანვარი 2019 - დეკემბერი 2020	**განმახორციელებელი:** ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა;	60 000 ლარი (20 000 ევრო)	**შედეგი**: გადამზადდა მრავალშვილიანი ოჯახები სამეწარმეო უნარების განვითარების მიზნით; **ინდიკატორი**: ჩატარებული ტრენინგების და მათში მონაწილეთა რაოდენობა;	**შედეგი**: ხელი შეეწყო მრავალშვილიან ოჯახებს მიკრო და მცირე ბიზნესის წამოწყებაში; **ინდიკატორი**: მოსარგებლე ბენეფიციართა რაოდენობა;
1.საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩოები	1.საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება	9.ელექტრომობილების პოპულარიზაციისათვის მხარდამჭერი ღონისძიებების გატარება	ივლისი 2019-დეკემბერი 2020	**განმახორციელებელი:** ადგილობრივი ბიზნესის სექტორი; **პარტნიორები:** ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა; შპს პარკინსერვისი; ააიპი ქუთგანათების სერვისი;	50 000 ლარი (16 700 ევრო)	**შედეგი**: მოეწყო ელექტრო დამტენი სადგურები და ელექტრომობილები სრულად განთავისუფლდა პარკირების გადასახადისაგან; **ინდიკატორი**: ელექტრო დამტენი სადგურის და მოსარგებლე სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობა;	**შედეგი**: გაიზარდა მცირე და საშუალო ბიზნესში ელექტრომობილის გამოყენება; **ინდიკატორი**: ელექტრომობილების რაოდენობა ბიზნესში;

1. წვდომა ფინანსებზე	1.საინვესტიციო და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება. 2.ბიზნესის წარმოებასთან დაკავშირებული უნარების განვითარება	10. ბიზნესსაქმიანობისთვის საკონსულტაციო სერვისის შექმნა ეკონომიკური განვითარების განყოფილების ბაზაზე	ივლისი 2019-დეკემბერი 2020	**განმახორციელებელი:** ქუთაისის ადგილობრივი თვითმმართველობა; ბიზნეს სექტორი; **პარტნიორები: სსიპ** „აწარმოე საქართველოში; იმერეთის რეგიონული სავაჭრო სამრეწველო პალატა;	10 000 ლარი (3 500 ევრო)	**შედეგი:** შეიქმნა ბიზნეს საკონსულტაციო სერვისი; **ინდიკატორი**: სერვისების თემატური ბლოკის რაოდენობა;	**შედეგი**: მეწარმეობით დაინტერესებულ პირთა ამაღლებული ცნობიერება დაფინანსების წყაროებზე; **ინდიკატორი**: სერვისით მოსარგებლე ადამიანების რაოდენობა;

შენიშვნა: სამოქმედო გეგმაში ასახული ღონისძიებების განხორციელებაში პარტნიორების თანამონაწილეობა შემოიფარგლება მხოლოდ საკონსულტაციო, საინფორმაციო და საორგანიზაციო მხარდაჭერით, გარდა N10 ცხრილში (10. დაფინანსების სქემა) აღნიშნული დაფინანსების წყაროებისა.

10. დაფინანსების სქემა

ქმედებები	*სავარაუდო ხარჯები (ლარი/ევრო)*		*დაფინანსების წყარო (ლარი/ევრო)*					*დაფინანსების დეფიციტი (ლარი/ევრო)*	*შენიშვნები*
		ეროვნული პროგრამები	*ადგილობრივი ბიუჯეტი*	*ზედა დონის ბიუჯეტები*	*ბიზნესი*	*დონორები*	*სხვები (მიუთითეთ)*		
1.დესტინაციის მართვის ორგანიზაციის შექმნა (DMO)	1 340 000/ 446 700		1 100 000/ 366 700				240 000/ 80 000		
2.ქალაქის საინვესტიციო პორტფოლიოს შექმნა	45 000/ 15 000		15 000/ 5 000			30 000/ 10 000			

3.ყოველწლიური საერთაშორისო ბიზნეს ფორუმის ორგანიზება	200 000/ 67 000		200 000/ 67 000						
4.ადგილობრივი პროდუქციის ყოველწლიური გამოფენა-ბაზრობების ორგანიზება	10 000/ 3 500		10 000/ 3 500						
5.ბიზნესისთვის სარეკლამო /საინფორმაციო ბილბორდების მოწყობა	50 000/ 16 700				50 000/ 16 700				
6. ინტერ-მუნიციპალური ახალი ტურისტული ლოკაცია	300 000/ 100 000							300 000/100 000	
7. მიგრაციის პოტენციალის გამოყენება ადგილობრივი განვითარების დაჩქარებისთვის	68 000/ 22 700		68 000/ 22 700						
8. მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა მრავალშვილიანი ოჯახებისათვის	60 000/ 20 000		60 000/ 20 000						
9.ელექტრომობილების პოპულარიზაციისათვის მხარდამჭერი ღონისძიებები: დამტენი სადგურების მოწყობა	50 000/ 16 700				50 000/ 16 700				
10.საკონსულტაციო სერვისის განხორციელება ადგილობრივი ბიზნესისათვის	10 000/ 3 500		10 000/ 3 500						
სულ:	2 133 000/ 711 800		1 463 000/ 488 400		100 000/ 33 400	30 000/ 10 000	240 000/ 80 000	300 000/100 000	

შენიშვნა: დაფინანსების წყარო „ სხვა“ აღნიშნავს იმერეთის რეგიონის 11 მუნიციპალიტეტის წილობრივ თანამონაწილეობას

დაფინანსების წყარო „ბიზნესი“ აღნიშნავს დაფინანსებაში კერძო სექტორის პარტნიორობით მონაწილეობას.

დაფინანსების წყარო „დაფინანსების დეფიციტი“ აღნიშნავს ღონისძიების განხორციელებისათვის არასაკმარის თანხას, რისთვისაც მოძიებული იქნება დონორი ორგანიზაცია.

11. ქმედებების შიდა მონიტორინგის გეგმა

ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შესრულების კოორდინაციას და მონიტორინგს გაუწევს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების ოფიცერი მონიტორინგის ჯგუფთან ერთად 5 წევრის შემადგენლობით, რომელთაგან 1 პირი იქნება ადგილობრივი თვითმმართველობიდან, 2 სამოქალაქო სექტორიდან, 2 ადგილობრივი ბიზნესის წარმომადგენელი. მონიტორინგის ჯგუფის დაკომპლექტების პროცესში დაცული იქნება გენდერული ბალანსი. მონიტორინგი განხორციელდება ყოველ 3 თვეში არანაკლებ ერთხელ. აეგ გეგმაში გაწერილი ღონისძიებების შესრულების შეფასებას მონიტორინგის ჯგუფი განახორციელებს შედეგებისა და მონიტორინგის ინდიკატორების მიხედვით.

ქმედება	*ხანგრძლივობა (დაწყება/ დასრულება)*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 1-6*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 7-12*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 13-18*	*მოსალოდნელი შედეგები თვე 19-24*
1.დესტინაციის მართვის ორგანიზაციის შექმნა (DMO)	იანვარი 2019-დეკემბერი 2020	1.მომზადდა საიმიჯო კლიპი 2. ჩატარდა 3 ინფო-ტური 3. მონაწილეობა იქნა მიღებული 5 საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაში	1. ჩატარდა 4 ინფო-ტური 2. მონაწილეობა იქნა მიღებული 2 საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობა	1. ჩატარდა 3 ინფო-ტური 2. მონაწილეობა იქნა მიღებული 5 საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაში 3. შეიქმნა ქუთაისის ტურისტული ვებ-გვერდი	1. ჩატარდა 4 ინფო-ტური 2. მიღებული იქნა მონაწილეობა იქნა მიღებული 3 საერთაშორისო გამოფენა-ბაზრობაში
2.ქალაქის საინვესტიციო პორტფოლიოს შექმნა	მარტი - დეკემბერი 2019	განხორციელდა დარგობრივი კვლევები საინვესტიციო პოტენციალის შესწავლის მიზნით	შეიქმნა და დაიბეჭდა ქალაქის საინვესტიციო პორტფოლიო		
3. ყოველწლიური საერთაშორისო ბიზნეს ფორუმის ორგანიზება	მარტი 2019-ნოემბერი 2020	მოეწყო საერთაშორისო ბიზნეს ფორუმი	დამყარდა ურთიერთობა ინვესტორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.	მოეწყო საერთაშორისო ბიზნეს ფორუმი	დამყარდა ურთიერთობა ინვესტორებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან.
4.ადგილობრივი პროდუქციის ყოველწლიური	აპრილი 2019 - ოქტომბერი 2020	ჩატარდა ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა-ბაზრობა	ჩატარდა ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა-ბაზრობები, რომლებიც მიბმული იქნა ქალაქში	ჩატარდა ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა-ბაზრობა	ჩატარდა ადგილობრივი პროდუქციის გამოფენა-ბაზრობები, რომლებიც მიბმული იქნა ქალაქში

გამოფენა-ბაზრობების ორგანიზება			დაგეგმილ კულტურულ ღონისძიებებთან		დაგეგმილ კულტურულ ღონისძიებებთან
5.ბიზნესისთვის სარეკლამო /საინფორმაციო ბილბორდების მოწყობა	ივლისი 2019-დეკემბერი 2020		1. გამოიყო დისლოკაციის ადგილები, მიღებული იქნა ნორმატიული აქტი 2. დამყარდა კომუნიკაცია ბიზნეს სექტორთან და შემუშავდა კონცეფცია	განთავსდა სარეკლამო/საინფორმაციო ბილბორდი	კერძო-საჯარო პარტნიორების ფარგლებში განთავსდა ბიზნეს რეკლამები
6. ინტერ-მუნიციპალური ახალი ტურისტული ლოკაცია	ივლისი - დეკემბერი 2020				1. შემუშავდა ახალი ლოკაციის მოწყობის მიზანშეწონილობის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა; 2. მოხდა დონორის/პარტნიორის მოძიება და გაფორმდა ხელშეკრულება;
7. მიგრაციის პოტენციალის გამოყენება ადგილობრივი განვითარების დაჩქარებისთვის	მარტი 2019 - დეკემბერი 2020	ამაღლდა ადგილობრივი ხელისუფლების ცნობიერება მიგრაციისა და განვითარების საკითხებზე (ჩატარდა საინფორმაციო შეხვედრები და ტრენინგები ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან)	შედგა საქმიანი ვიზიტი იმ ქვეყნებში, რომელთაც აქვთ შესაბამისი გამოცდილება დიასპორის ინვესტიციების მოზიდვისა და მიგრანტების ფულადი გზავნილების განვითარებისათვის გამოყენების სფეროში	შედგა თანამშრომლობა საფინანსო სექტორთან ფულადი გზავნილების მართვისთვის (ჩატარდა ტრენინგი მიგრანტებზე ორიენტირებული საბანკო პროდუქტებისა და სერვისის განვითარების საკითხებზე)	შედგა თანამშრომლობა იმერეთის კერძო სექტორსა და დიასპორის წარმომადგენლებს შორის (ჩატარდა ფორუმი დიასპორისა ბიზნეს-სექტორის წარმომადგენლების მონაწილეობით) და კვალიფიცირებული დიასპორელები დროებით მივლინებული იქნენ კერძო და საჯარო სექტორში, კვალიფიცირებულ კადრებზე შესაბამის საჭიროებებიდან გამომდინარე

8. მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა მრავალშვილიანი ოჯახებისათვის	იანვარი 2019-დეკემბერი 2020	მომზადდა საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი და შეიქმნა კომისია	გადამზადდა მრავალშვილიანი ოჯახები სამეწარმეო უნარების განვითარების მიზნით	მომზადდა საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი და შეიქმნა კომისია	გადამზადდა მრავალშვილიანი ოჯახები სამეწარმეო უნარების განვითარების მიზნით
9. ელექტრომობილების პოპულარიზაციისათვის მხარდამჭერი ღონისძიებები: დამტენი სადგურების მოწყობა	ივლისი 2019-დეკემბერი 2020		ადგილობრივი მარეგულირებელი ნორმის მიღება	საკონკურსო პროცედურები	მოეწყო ელექტრომობილებისათვის დამტენი სადგური და ელექტრომობილები სრულად გათავისუფლდა პარკირების მოსაკრებლისაგან
10. ბიზნეს საქმიანობისათვის საკონსულტაციო სერვისის შექმნა ეკონომიკური განვითარების განყოფილების ბაზაზე	ივლისი 2019-დეკემბერი 2020		მცირე და საშუალო ბიზნესით დაინტერესებულ მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება (საკონსულტაციო შეხვედრების და ტრენინგების საშუალებით)	ადგილობრივი ბიზნესის ცნობიერების ამაღლება (საკონსულტაციო შეხვედრების და ტრენინგების საშუალებით)	ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის განვითარება
მთელი ბიუჯეტის დახარჯული % (საორიენტაციო)		30	15	30	25

გიორგი ჭიღვარია



ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი

Mayors for
Economic Growth

7 December, 2018

The administration of
Kutaisi City Municipality
Imereti Region
Georgia

On behalf of the Mayors for Economic Growth (M4EG) Secretariat, I herewith officially confirm, that the Kutaisi City Municipality, in full accordance with the commitments it took upon themselves when joining the Mayors for Economic Growth Initiative, elaborated and submitted the Local Economic Development Plan (LEDP), which was reviewed by staff of the World Bank and considered in line with the principles of the M4EG Initiative.

On this ground, the Kutaisi City Municipality has been promoted to the status of **Acting M4EG member** (effective of the date of this official notification).

I am pleased to state that the M4EG Secretariat appreciates the commitment and effort demonstrated by the Kutaisi City Municipality in establishing local public-private dialogue and conducting joint strategic planning processes, which resulted in its steady positive performance to date. We are looking forward to the successful implementation of the approved Local Economic Development Plan during the years 2019-2020.

The M4EG Secretariat stands as ever committed to providing top-notch support to the M4EG members on the issues related to their LEDP implementation, which I hope would result in impressive progress for your municipality and be one of the “Mayors for Economic Growth” success stories to share.

Looking forward to our further fruitful cooperation,

Peter R. Korsby
Team Leader
M4EG Secretariat

Mayors for Economic Growth

7 დეკემბერი 2018

ქუთაისის მერიის ადმინისტრაცია
იმერეთის რეგიონი
საქართველო

M4EG სამდივნოს სახელით, ოფიციალურად ვადასტურებთ, რომ ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტი, სრულიად შესაბამისობაშია ვალდებულებებზე, რომლებიც მათ მიიღეს ეკონომიკური ზრდის ინიციატივის მერების გაწევრიანებისას, შეიმუშავეს და წარმოადგინეს ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმა (LEDP), რომელიც განიხილა მსოფლიო ბანკის თანამშრომლებმა და შესაბამისობაშია M4EG ინიციატივის პრინციპებთან.

ამ საფუძვლით, ქუთაისის მუნიციპალიტეტი დაწინაურებულ იქნა M4EG- ს მოქმედი წევრის სტატუსამდე (ძალაშია ამ ოფიციალური შეტყობინების თარიღიდან).

მოხარული ვარ განვაცხადო, რომ M4EG-ის სამდივნო აფასებს ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მიერ აღებულ ვალდებულებას და ძალისხმევას, ადგილობრივი საჯარო-კერძო დიალოგის შექმნისა და ერთობლივი სტრატეგიული დაგეგმვის პროცესების განხორციელების შესახებ, რამაც მისი სტაბილური პოზიტიური შესრულება გამოიწვია. ჩვენ ველით, რომ დამტკიცებული LEDP წარმატებით განხორციელდება 2019-2020წწ-ში.

M4EG სამდივნო, როგორც ადრე, ცდილობს M4EG-ის წევრებს ყველაზე მაღალი დონის მხარდაჭერა გაუწიოს LEDP-ის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხებზე და ვიმედოვნებთ, რომ თქვენი მუნიციპალიტეტის პროგრესი იქნება ერთ-ერთი წარმატებული ისტორია M4EG პროგრამისათვის.

ველით ჩვენს შემდგომ ნაყოფიერ თანამშრომლობას,

პიტერ რ. კორსბი

ჯგუფის ლიდერი

M4EG სამდივნო